ხელშეკრულება N108
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თელავი 22 აგვისტო 2019 წ.

სსიპ „ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“, წარმოდგენილი სამხატვრო ხელმძღვანელის პაატა გულიაშვილის სახით, ერთის მხრივ (შემდგომში ,,შემსყიდველი''), და მეორეს მხრივ შპს „სამა“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯონ სოლოპის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი''), ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'' (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება'') _ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია'' (შემდგომ ,,შემსყიდველი'') ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 ,,მიმწოდებელი'' ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 ,,ხელშეკრულების ღირებულება'' ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 ,,დღე'', ,,კვირა'', ,,თვე'' ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 ,,სამუშაო'' - ხელშეკრულების 1-ლი მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს (45450000 - შენობის მოწყობის სხვა სამუშაოები, 45421146 - შეკიდული ჭერების მონტაჟი), სსიპ ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სტიქიისგან დაზიანებული მაყურებელთა დარბაზის ჭერის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების და თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

1.2 დაფინანსების წყარო 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

1.3 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა. შესყიდვის საფუძველი - მონეტარული ზღვრის დაცვით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულებით ჯამური ღირებულება შეადგენს 3669 (სამიათასექვსასსამოცდაცხრა) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით დღგ-ს გარდა.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვისა შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

3.2 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3 სამუშაოების შესრულების პერიოდში ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს შემსყიდველის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი პირები - ინსპექტირების ჯგუფი. ტექნიკური ზედამხედველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს სამუშაოს ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს მიმდინარე სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

3.4. სამუშაოების დასრულებულად ჩაითვლება
შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის და პროექტის ავტორის დასკვნის საფუძველზე. რაც უნდა მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

4. სამუშაოს შესრულების ვადები

მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების დადების დღიდან და დაასრულოს არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესრულებული სამუშაოს, მათ შორის ეტაპობრივის მიღება-ჩაბარება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით 3.4 პუნქტის შესაბამისად. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით, ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის/პირების დასკვნის საფუძველზე.

5.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მიზნით მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს 3.4 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციას.

5.3 სამუშაოს ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარებას აწარმოებს სსიპ ვაჟა ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის ინსპექტირების ჯგუფი.

5.4 თუ მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოები განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

6.2 შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 1 (ერთი) წელს.
საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით და დამატებითი ანაზღაურების გარეშე წუნდებული აღმოფხვრას ყველა დეფექტი/წუნი რაც წარმოიშობა მის მიერ

შესრულებულ სამუშაოზე შემსყიდველის მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში, არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში;

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი ფორმა №2-ის, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის მირება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი უნდა მოქმედებდნენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს

შესრულებული სამუშაოების ღირებულება;

დ) წერილობითი ფორმით, გონივრულ ვადაში აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში

8.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა)განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ბ) განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი

შესაბამისობა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებსა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმის, ტექნიკური სპეციფიკაციების, მოქმედი სტანდარტების, სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციისა გათვალისწინებით;

გ) ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს;

დ)მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) სამშენებლო ნორმებისა, წესების და სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი

ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრულ ვადაში;

გ) სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო.

დ) ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედანზე;

ე) ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

ვ) მიმწოდებელს მიერ სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

ზ) სამუშაოების დასრულების შემდეგ საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს სამუშაო არეალის დასუფთავება და დალაგება.

თ) ყველა ზემოაღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, შესაბამისი მიზეზების მითითებით.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების

გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა

და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური

მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ

უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების

შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

11.2 შემსყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოს შესრულების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი ვალდებულია, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11.4 თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის პერიოდში არ განახორციელებს წარმოქმნილი დეფექტის გამოსწორებას 6.2 პუნქტის შესაბამისად, დაეკისრება პირგასამტეხლოს სახით შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. იმ შემთხვევაში თუ თანხა სრულად ანაზღაურებულია მიმწოდებელს დაეკისროს ზარალის ანაზღაურება სრულად.

11.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

11.6 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

11.7 ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ შეუსრულებისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება დარჩენილი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარეხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ასევე მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადისა, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული საგარანტიო პირობები მოქმედებენ შესაბამისი საგარანტიო ვადით.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ინახება მხარეებთან და ორივე აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის	შპს სამა
პროფესიული სახელმწიფო დრამატული	ს.კ. 231289343
თეატრი	მის: ქ. თელავი, რუსთაველის
ს.კ. 231169641	მესამე შესახვევი
ქ. თელავი, ერეკლე მეორეს მოედანი N	სს „ტერა ბანკი“, TEBAGE22
პაატა გულიაშვილი	GE27 KS00 0004 0004 1558 09
სამხატვრო ხელმძღვანელი ----------	დირექტორი
Paata Guliashvili Digitally signed by Paata Guliashvili Date: 2019.08.22 15:16:56 +04'00'	ჯონ სოლოპი ----------
	Jon Solop Digitally signed by Jon Solop Date: 2019.08.22 15:36:54 +04'00'